სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

## დ. სურამი

15-ს მარიამობისთვეს 1898 წ., სურამის პარკში ტფილისის დრამატიული დასის არტისტების ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, კარგარელისა; ბბ. ყიფიანისა, სვიმონიძისა, შათირიშვილისა და გალუსტოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

## სამშობლო

ორი მოქ. თხზულება დ. ერისთავისა

II

რუსულად

## ახირებულია

კომ. 2 მოქ.

III

## დივერტისმენტი

არტისტი კ. მესხი წაიკითხავს იმერულ სცენებს.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართება **ცეკვა**

ბილეთები ისყიდება სურამის ბიბლიოთეკაში და წარმოდგენის დღეს პარკის შესავალში. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

გამგე არტისტი ს. სვიმონიძე.

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)

სასეირნო ბაღი

## არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

**ყველაფერი იაფად**

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—31) ე. ჩხარტიშვილი

## შპალერების საწყობი
## ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**
## I. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 40)

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განახორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

ქარხანა იღებს პირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყოველნაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა

ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—26)

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურთ ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—38)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. გ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** ისევ ქურდობაზე კონკაში. გუშინდელ ნომერში ჩვენ გვქონდა მოხსენებული, თუ როგორ აღმოაჩინა ბაბალოვმა 18,000 მანათის ქურდი; ვიღაც ტფილისის მოქალაქე არშაკა ხოჯანიათოვი თურმე კონკაში გვერდზე ამოუჯდა ინჟინერ გლინოეცკის და მიხეილის ქუჩაზევე ასწაპნა საფულე და დაიმალა კიდეც. როცა ინჟინერს ეს

ამბავი შეუტყობინებია პოლიცმეისტერისათვის, მაშინვე მიუნდვია ეგ საქმე ბაბალოვისათვის.

ბაბალოვი შესდგომია კუკიაში დუქნებსა და სამიკიტნოებში გამოკითხვას და მართლაც ზოგიერთს ბაღებში უთქვამთ, რომ ვიღაც სახელად არშაკა ქეიფობდა და ათ თუმნიანებს ახურდავებდაო. ასეთის გამოკითხვით ბაბალოვს გვარიც გაუგია არშაკასი და სახლიც უპოვნია, სადაც ბაბალოვს არშაკა და დედამისი ორივე მთვრალები და მძინარე უნახავს. მაშინვე გაუღვიძებია არშაკა, მაგრამ ამ უკანასკნელს სრული უარი უტკუცავს. მას შემდეგ ბაბალოვი შესდგომია სახლის გაჩხრეკას და მართლა აღმოუჩენია 635 მ. ფულად და სხვა-და-სხვა სარგებლიანი ქაღალდები 14,000 მან.; სხვა ფულები-კი აქა-იქ მიუბარებია არშაკას, ზოგი მიუცია ვიღაც მედუქნე ულიბეგოვისათვის, ზოგი ნიკოლა ბადალოვისათვის. ამ რიგად ბაბალოვმა აღმოაჩინა ყველა ფული, გარდა 300 მანათისა, რომელიც თურმე არშაკას დაუხარჯავს. არშაკ ხოჯანიათოვი შეპყრობილია. საზოგადოდ ბ-ნ ბაბალოვს იშვიათად თუ გაეპარება ქურდ-ბაცაცა.

⁂ **თავ. ივანე მაჩაბლის საქმე.** როგორც ისმის, თავ. ივანე მაჩაბლის უგზო-უკვლოდ დაკარგვას სასტიკი ყურადღება მიაქცია მთავრობამაც და ეს საქმე უკვე მიუნდვიათ გამოსაკვლევად ბაბალოვისათვის და გამომძიებლისათვის. საექვოა, რომ რაიმე აღმოჩნდეს.

⁂ **სტუდენტების მიღება პეტერბურგში.** წელს შესაძლებელი გახდა სტუდენტების რაოდენობას მოემატოს 656 კაცი. ყველაზე მეტს (246) მიიღებენ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში, სატყეო ინსტიტუტში 175, ინჟინერებისა 115, სამთოში 80, სამოქალაქო ინჟინერებისა 50 და ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტში 40 კაცს.

⁂ **უბედური შემთხვევა.** ამ დღეებში ცოტას გაწყდა არ გაიფუფქა მთლად ერთი ათი-თორმეტი წლის ქალი ოლგას ქუჩაზე. როცა ამ ქალის დედამ საღამოთი უშველებელი სამოვარი აადუღა, პატარა ქალს უნდოდა ზევით სართულში აეტანა და რადგანაც ვერ მოერია, დააყირავა თავისკენ და ცალ ფეხსა და ცალ ხელზე-კი გადაიქცია მდუღარე წყალი. შეიქნა წივილ-კივილი. პირველი დახმარება აქვე მდგომმა ფერშალმა აღმოუჩინა. გახადეს წინდები ფეხიდან და სულ გაყვლეფილი აღმოჩნდა. მას შემდეგ-კი შინაურულად სწამლობენ და იმის წივილ-კივილი ყოველ დღე ცამდის ადის.

⁂ **ხელოსანთა გამგეობის საქმე.** ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა ხელოსანთა მოურავს სერობიანცს, რომ ეხლავე გამოიტანეთ ბანკიდგან შეკრებილი ფული, რამდენიც საჭიროა, და დაურიგე ჯამაგირი სახელოსნო გამგეობის მოხელეებსაო, რაც მათ ეკუთვნის გასულ თვეებისაო.

⁂ **ვინ არის დამნაშავე—ძაღლი, თუ ძაღლის პატრონი?** თუ სადამდე მიდის ტფილისელ ზოგიერთ ძაღლის პატრონების თავ-გასულობა, შემდეგი შემთხვევა გვიჩვენებს: 11 აგვისტოს, დილის 9 საათზე, როცა ერთი ვიღაც მასწავლებელი მივიდა ოლგის ქუჩაზე სახლების გასასინჯად, პატრონზე უწინ ძაღლი გამოეგება ეზოდან და კინაღამ ზედ შევარდა. ძაღლი ამ ხანად მასწავლებელმა როგორც იყო მოიშორა, გამოსვლის დროს-კი ასე მშვიდობით ვერ მორჩა ძაღლს: ეცა ჩუმათ ძაღლი მასწავლებელს და ახლად ნაყიდი შარვალი სულ თან გაიტანა; კიდევ კარგი, რომ თითონ მასწავლებელი დაუგლეჯელი გადარჩა. როდესაც მასწავლებელმა იქვე მდგომ პოლიციელთან სახლის პატრონს უთხრა: რატომ ძაღლი არ გიბიათ, თუ მაგეთია, ან რატომ ვინმე არ მომეშველეთო (ამ დროს რამდენიმე კაცი და ქალი ბალკონში ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ), ძაღლის პატრონმა უპასუხა: ეს ძაღლი სულ ასე დასეირნებსო და შებრუნდა შინ. პოლიციელიც ქვევით წავიდა ყურგაუბერტყავად და ხმის ამოუღებლად.

⁂ **საინტერესო წიგნი.** ტფილისში აღმოჩნდა მეტად საინტერესო ძველი სომხური წიგნი, დაბეჭდილი 1660 წელს რომში. ეს წიგნი შეეხება რომის ლათინთა წეს-რიგსა და სომეხთა ტიბიკონის კათოლიკების ისტორიას. წიგნი მეტად ვრცელია და შიგ მოთავსებულია მრავლად წერილები, რომლებიც საქართველოს მეფეებს უგზავნიათ რომის პაპებისთვის. („ივ.“)

⁂ **საკვირაო სკოლა სოფლად.** როგორც ამბობენ, თავადის ასულს ნინა თარხნიშვილისას განუზრახავს სოფ. ახალქალაქში საკვირაო სკოლის გამართვა. ვუსურვებთ სრულ გამარჯვებას.

⁂ **ბ. კობიაშვილისა და მუხარინსკის საქმე.** 12 აგვისტოს ტფილისის პოლიცმეისტერმა წარადგინა სასამართლოში დამატებითი გამოძიება მუხარინსკის გალახვის შესახებ.

⁂ **ავაზაკების თავ-დასხმა აჯიკენტში.** ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე, ავაზაკები თავს დაესხნენ აჯიკენტიდამ სოფ. გოზლუხში მიმავალთ. თითქმის ყველანი გაძარცვეს. ავაზაკები კიდევ არ დაუჭერიათ. („ნოვ. ობ.“).

⁂ **იმერეთის მეაბრეშუმეთა საგულისხმოდ.** მეაბრეშუმეთა პირველმა ამხანაგობამ წელს დაარიგა სამი-ათას ხუთასი კოლოფი თესლი (წინა წლისაზე 1,500 კოლოფით მეტი); პარკი კი იყიდა სამი ათას სამას ფუთზე მეტი (3,305½ ფ.), (შარშან კი 2670 ფუთი) ამათგან 50 ფუთი ჩვენებური პარკი, ფუთი 6 მან., დანარჩენი კი ბაღდათის და ევროპის ჯიშისა—ფუთი 14 მ. სულ ამხანაგობამ წელს პარკში მისცა 45,496 მ. და 69 კ. (წინა წლისაზე 16,625 მანეთით მეტი). წელს ამხანაგობას ფუთი ნედლი პარკი სამი მანეთით, ანუ ხმელი, ცხრა მანეთით უფრო ძვირათ აქვს ნაყიდი, ვინემ შარშან; ასე რომ, თუ შარშან ხმელი პარკი ფუთი 43 მ. 50 კ. გაყიდა ამხანაგობამ, წელს იგივე ფუთი 52 მ. და 50 კ. უნდა გაყიდოს, რომ შარშანდელი ხეირი ნახოს. თუმცა ევროპაში პარკს კარგი ფასი აქვს (ფუთი 55 მანეთამდის) მაგრამ ძნელათ თუ წლევანდელს ჩვენებურ პარკს ისეთივე გამოსავალი იქნეს, როგორც წინათ ქონდა. საქმე ის არის, რომ წლევანდელმა მყიდველებმა ისე ააჩქარეს პატრონები, რომ დაუშუშებელი ბარკი გააყიდვანეს, ესე იგი: ჯერ კიდევ ჭიას ხვევა არ ჰქონდა გათავებული, ისე უკრეს პარკს თავი ფარდიან ურმებში და რის ვაი-ვაგლახით დამზადებული ძაფი ჭიას პარკათ აღარ აახვევინეს...

თუ ასე გასტანა, ჩვენებურ პარკს ფასი დაუვარდება, როგორც დაუმზადებელს, დაუმთავრებელს. ეს მოხდა მით, რომ წელს პარკს ერთობ ბევრი ჭირისუფალი აუტყდა, რომელთაც პარკის მოვლისათვის და მისი სამერმისოთ სახელის მოპოებისათვის სრულებით არა სცხელათ. ამათ ამ საქმეს მხოლოდ დღეს მოკიდეს ხელი, რადგან გაიგეს, რომ აქ სულ ერთი ორი თვის განმავლობაში ფული მოიგებაო. თუ პარკს ფასი დაუვარდება, ესენი ბევრს არას წააგებენ; წააგებს მხოლოდ მეაბრეშუმე. აი სწორედ ეს მეაბრეშუმეები ზრუნავენ დღეს, რომ გაიხსნეს საამხანაგო პარკის სახმობი ფარდულები გარდა კუხისა, სხვა დიდრონ სოფლებშიაც, როგორც დიდ ჯიხაისში, მაღლაკში, ფარცხანაყანებს და სხვაგან. ამხანაგობისთანა ჭირისუფალი ამ საქმეს სხვა ვერ გაუჩნდება. ამიტომ ყველა, ვინც კი ამ საქმეში ხელს შეუწყობს ამხანაგობას, ამით მეაბრეშუმეებს პირდაპირ დახმარებას აღმოუჩენს.

ნ. წ.

⁂ **მადლობა ყურადღებისათვის.** მადლობას მოვახსენებთ ბ. ი. პ—ძეს, რომელსაც („ცნ. ფურ.“ № 599) მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის წარსული წლის ანგარიშისათვის ყურადღება მიუქცევია და უნებური შეცდომები, ანგარიშის დაბეჭდვის დროს მომხდარი გაუსწორებია. მხოლოდ უნდა მოვახსენოთ, რომ მეორე ჯამი 45,901 მ. 88 კ. ანგარიშის მეხუთე განყოფილებაში, თუმცა არ უდრის იქ ზევით მოყვანილ რიცხვებს, მაგრამ თითონ ჯამი სწორია, რადგან „სხვა და სხვა ხარჯებში“ მოყვანილი 77 მ. 10 კ. მაგივრათ უნდა ეწეროს სულ 37 მ. 10 კ. ყველა ანგარიშის ფურცლებში, რომლებიც ჩვენ გაუგზავნეთ ყველა ჩვენებურ რუსულ და ქართულ გამოცემათა რედაქციებს, ეს ორი შეცდომა გადასწორებულია. აგრეთვე ყველა იმ ფურცლებში, რომლებზედაც ხელი უწერიათ ამხანაგობის მმართველობას და სარევიზიო კომისიას.

ნ. წერეთელი

⁂ **ჭალადიდი, მატარებლით დაშავებული.** დილის ექვს საათზე საქონლის მატარებელმა დაჩეჩქვა რკინის გზის ლიანდაგის დარაჯი მეექვსე ვერსზე.

საქმე მოხდა ამ ნაირად. საწყალს შეხტომა თურმე უნდოდა ფოთისკენ მიმავალს საქონლის მატარებელზე, მაგრამ საუბედუროდ პირველ საფეხურზე შედგომისათანავე იმის პალტო გამოედო რკინას და რადგანაც სახელმწიფო პალტოები ძალიან მაგარი შალისა არის, ვერ გაგლიჯა, პალტომ ჩაითრია და ათრია ვიდრე მემანქანე შეამჩნევდა და გააჩერებდა მატარებელსა. დაშავებული წაიღეს ფოთში საშინლად დაჩეჩქვილი, რადგანაც გორაობით მიათრევდა მატარებელი, ფოთში რაც შეიძლება უწამლეს და შემდეგ გაგზავნეს ტფილისის რკინის გზის სავადმყოფოში.

⁂ **დ. აბაშა. წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ.** 15 ამ თვისა' დაბა აბაშაში დანიშნულია ქართული წარმოდგენა აბაშის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ, ითამაშებენ „ბიძიასთან გამოხურებას“ რაფიელ ერისთავისა და „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“ ვალერიან გუნიას ვოდევილს. ჩვეულებრივ ამ საღამოს გამგეთ ბრძანდება ქალ. ელინიდა კოსტანტინეს ასული თოფურია. დიდი მადლობის ღირსია ეს პატივცემული ქალი, რომ საქმეს ეხმარება და თან ქართულს წარმოდგენებს აჩვევს. ჯერ თითქმის ერთ თვესაც არ გაუვლია, რაც

უკვე ჰქონდათ ქართული წარმოდგენა და აგერ მეორედაც მზად არიან კიდევ ამავე სკოლის სასარგებლოთ წარმოდგენა გამართონ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ ამ კეთილ საქმეში.

*** **ფოთი.** **საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** ამ ცოტა ხანში ვაპირობთ ქართულ წარმოდგენას ერთი ღარიბი ქართველი სტუდენტისთვის, რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლობს საექიმო ნაწილზე. საღამოს გამგეთ ბრძანდება პატივცემული კნ. ვერა ერისთავისა; იმედია საზოგადოება ფოთისა დაესწრება ამ საღამოს, რადგანაც გაჭირებული ყმაწვილი კაცი ყველას ნაცნობია თანაგრძნობით. იმედი მით უფრო გვაქვს, რომ ხშირად ფოთელები სხვა ერის და რჯულის ხალხს უმართავენ ხოლმე ხელს და ნუ თუ თავის კაცს არ შეეწევიან, მეტადრე თუ წარმოდგენაც საინტერესო იქნება.

ნატო

*** **დ. ხოპი** (სამეგრ.). **მხატვარის ეისნერის ჩამოსვლა.** 10 ამ თვეს მოვიდა ხოპის მონასტერში ადგილობრივ ბოქაულთან ერთად საქართველოს ძველი ეკკლესიების ნაშთების დამცველი ცნობილი არხეოლოგი და მხატვარი ბ-ნი ა. პ. ეისნერი. მოსვლისთანავე დაიწყო უძველესი დროის ხატების და სურათების გადახატვა, რომლებიც ეკუთვნიან 1160—1660 წლების ლიპარტიან დადიანებს და მათს ცოლ-შვილებს. ბ-ნმა ეისნერმა ბერებს უთხრა: კედლებზე ხატებს და სურათებს არას გზით არ შეხოთო, რადგან ზოგან შელესილი ნახა.

ყველასათვის სასიამოვნო უნდა იყოს, რომ მომავალ თაობას მაინც არ დაეკარგება ცნობისაგან აქაური ხატები და სურათები; მაგრამ სამწუხაროდ, შემწეობის მაგიერ ბ-ნ ეისნერს მისდამი მინდობილს საქმის აღსრულებაში, ბოქაულის წასვლის შემდეგ, ცოტა არ იყოს წყენა შეხვდა იმის გამო, რომ სამუშაოდ ბერებმა არ მიუშვეს, რადგან წინამძღვარისაგან ისე გვაქვს ნათქვამიო. მამა წინამძღვარი მონასტერში არ იყო და მერმე ბევრი უსიამოვნების შემდეგ, როცა ისევ ბოქაულის დაბარება და საქმის შედგენა გამოუცხადა, მერმე-კი, მეორე დღეს, როგორც იყო კარი გაუღეს... მაგრამ რამდენხანს შეაჩერეს მუშაობისაგან და გააჯავრეს კიდეც ჩვენი ქვეყნის სასარგებლო საქმის მშრომელი...

ხოპელი

*** **ქ. ოზურგეთი.** **ქართული დასის ჩამოსვლა.** აქ ჩამოვიდა ქუთაისის ქართული დრამატიული დასის გამგე ქუჯი, რომელიც დანარჩენ ამხანაგებს მოელის 15 აგვისტოს და რომელნიც ოზურგეთში გამართავენ ორ წარმოდგენას. იმედია ოზურგეთის საზოგადოება სიხარულით მიეგებება და დაესწრება ამ წარმოდგენებს.

არა ოზურგელი

*** **ს. ცაიში** (სამეგრელო) **მოუშორებელი ჭირი.** აგერ შვიდი-რვა თვეა, რაც ერთი ვიღაც ექიმბაში, როგორც გავაცანით მკითხველებს „ცნ. ფ.“-ს 589 №-ში, გვესტუმრა და თვისი ექიმობით საბრალო ავადმყოფები გაძარცვა და სნეულებაკი უარესად გაუმწვავა. არა ერთია მაგალითი, რომ 30—50 მან. გამოერთმიოს წამლის ფასად (რომელსაც თვითონვე ამზადებს, რაკი წერის უცოდინარობისა გამო ვერ გამოიწერს რეცეპტით) და ისინი უკიდურესს მდგომარეობაში ჩაეგდოს. რაც უნდა მოურჩენელ სნეულებით იყოს ვინმე ავად, მაინც თამამად დაიჩემებს: „თუ ამდენს მომცემენ მოვარჩენო, კურს-დამთავრებულ ექიმებმა ჩემოდენა რა იციან, თუ იცოდენ ნახეთ ჩემი ხელ-საწყო იარაღები, თუ რომელიმე ექიმს აქვს მაგისთანებიო“. მართლაც, ვინ იცის საიდან შეუძენია, აქვს რამდენიმე საქირურგო ჟანგ მოკიდებული იარაღები. ამ რიგი სიტყვებით და საქციელით ტყუილდება საბრალო სოფლელი კაცი და თქვენი მტერია კიდეც გაატყავა საზოგადოება. მით უმეტესად, რომ ერთხელ გავლენიან პირის მიერ ნაქებ ხარაზ-ექიმს სანამ თითო-თითოდ არ ჩაუვარდებიან ხელში, არავინ არ იჯერებს, რომ იმას ვნების მეტი სარგებლობა არ შეუძლია. ბოლოს თუმცა იყვირებს: „ვაიმე! მომატყუილა იმ უღმერთო მაცდურ კაცმაო“, მაგრამ გვიანღა იქნება და თან „ვინმეს“ შიშით უნდა წყალი დაიგუბოს პირში.

ორიოდე პირი კიდეც მზად არიან წავიდნენ საჩივლელად, სადაც ჯერ არს, მაგრამ ჯერ შინაურის მორიგებით ცდილობენ როგორმე დაიბრუნონ ფული და არის გამართული მოციქულობა. არ იქნება ურიგობა, ერთი მათგანი მაინც არ დაჰფარავდეს შინაურ მორიგებით, მოსთხოვდეს პასუხს ვისთანაც ჯერ არს, რომ რაკი სხვებმა პირიდან წყალი ვერ დააქცია და ისე ყურადღება არავინ არ მიაქცია ამ დიდათ მავნებელი კაცის საქციელს, იქნება მითი მაინც გაილვიძოს სტოლ ქვეშ შენახულმა მიწერ-მოწერამ და ხელ-წერილმა და ამითი მოშორდეს საზოგადოებას ეს „მოუშორებელი ჭირი“.

კოლონა

*** **ჭიათურა.** **შავი ქვის ავ-კარგი.** რამდენადაც ჩვენ გაგვიგონია, ამ 25 წლის წინად, ყველა იმ მცხოვრებლებს, სადაც დღეს შავი ქვა კი მოიპოვება, შავი ქვის სახელი, მხოლოდ წყევლა კრულვათ მიაჩნდათ და არც არავის ფიქრათ არ მოსდიოდა, რომ ხსენებული ქვა,—თუ ასე სასარგებლო იქნებოდა. 1878 წლიდგან უკვე შეუდგენ შავი ქვის წარმოებას. იმ დროს შავი ქვის მწარმოებელთა გუნდს შეადგენდა უფრო მეტი ნაწილი რუსეთელი და საზღვარ-გარეთელი ვაჭრები, იმათთან შედარებით ჩვენები ძალიან ცოტანი იყვნენ, მაგრამ რამდენი დროც გავიდა, თან და თან შეიგნეს ქართველებმაც შავი ქვის სარგებლობა; რის გამოც ყოველი კუთხიდგან მოაწყდნენ ამ ადგილს. ფულიანი თითონ შეუდგა ქვის წარმოებას, ხოლო უფულომ მუშაობას მიჰყო ხელი დაამნაირად, გაჭირვებით, მაგრამ გემრიელ ლუკმის შოვნას შეუდგა და ეს ცოტა იმედი არ იყო ღარიბი ხალხისათვის, მაგრამ ასეთმა დრომ დიდხანს არ გასტანა და 1892 წ. ძალიან შეამცირა ქვის ფასი რკინის გზის შემოსვლამ, რის გამოც, როგორც შავი ქვის მწარმოებელს, ისე გადმომღებ-გადამზიდველსაც დაუდგათ ცუდი დრო. ამ გარემოებას იმანაც ძალიან შეუწყო ხელი, რომ შეცილება გახშირდა და ერთი მეორეს ჯიბრზე ყველა ცდილობდა ნაკლებ ფასში მიეცა ქვა და ბლომად. ამას კიდევ დაერთო წვრილი „პოდრაჩიკობა“ და საქმე მთლად აირია. ამ სხვა და სხვა ადგილებიდან გადმოხვეწილ „პოდრაჩიკებმა“ საქმე სრულებით გააფუჭეს და მათი მოქმედება მავნებელია, როგორც მუშათათვის, აგრეთვე მემადნეთათვისაც.

მართალია წინანდელ წლებზე შედარებით, ქვის მოთხოვნილება ეხლა მეტია, მაგრამ ფასით კი ბევრად ნაკლებია, წინეთ თუ ზესტაფონში ჩატანილი ქვა ფუთი ორ აბაზად და მეტადაც იყიდებოდა, ეხლა სამ შაურს და თვრამეტ კაპიკს არ აღემატება. გამყიდველებმა რომ სინდისიანად აწარმოვონ შავი ქვა, თავნსაც კი ვერ წამოაყენებს.

ა—რე ხაჰულიანი

*** **დ. ჩხარი** (იმერეთი). **ახალი მაზრის უფროსის მობრძანება.** ოცდა სამს ივლისს დ. ჩხარში სარევიზიოდ მობრძანდა ახლად გამწესებული შორაპნის მაზრის უფროსი ბ. იოსებ დიმიტრის ძე ნეტკაჩოვი. ბაზრიდან რამდენიმე მანძილზე მას მიეგებნენ ჩხარის მოვაჭრენი და მამასახლისი. სასოფლო სამმართველოსთან მაზრის უფროსს დახვდა მრავალი ხალხის ყრილობა, რომელთაც იგი თავაზიანად მიეგება. ბ. მაზრის უფროსმა თარჯიმანის შემწეობით მიმართა ხალხს შემდეგი სიტყვებით: მე დღეს თქვენთან იმიტომ მოვსულვარ, რომ მინდა გავიგო რა გაკლიათ და რით შეიძლება ჩემგან დახმარება. ხალხმა განუმარტა მაზ. უფროსს ყოველივე, რაც ჭირდებოდა. სხვათა შორის შესთხოვეს, რკინის გზის დარაჯობის საქმეში აღმოგვიჩინეთ რაიმე შემწეობაო, რადგან რკინის გზაზე დიდს გაჭირვებაში ვართ მთელი ზამთრობით და არა გვაქვს თავშესაფარიო, რკინის გზის „მასტერები“ არ გვაყენებენ რკინის გზის „ბუტკებშიო“. გარდა ამისა აუხსნეს კიდევ, რკინის გზის დარაჯობა ყოველ საზოგადოებისათვის როდია შემოღებული, და მხოლოდ რამოდენიმე საზოგადოება გვაწევს ეს ვალდებულებაო, ვერ გაგვიგია, თუ სხვა საზოგადოება რატომ არის თავისუფალი ამ ვალდებულებისაგანაო. ბ. მაზრის უფროსმა აღუთქვა ხალხს, აღვძრავ მაგ საგნის შესახებ კითხვას და რაც შემეძლება შემწეობას აღმოგიჩენთო. მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილებას მე ვერ შევეხებიო. შემდეგ ბ. უფროსმა ხალხს მისცა წინადადება, გაამრავლეთ სკოლები რომ თქვენი შვილები რიგიანი კაცები გამოვიდნენო. ამაზე ხალხმა ერთხმად შესძახა: ეგ კი არ შეგვიძლია ბატონოო! ამის გამო მაზრის უფროსმა შემდეგი რჩევა-დარიგება მისცა ხალხს: „თქვენ ყველას გაქვთ შეძლება, რომ სკოლისათვის თითოეულმა თქვენგანმა წელიწადში გადასდვათ თითო მაინც მანეთი, მაგრამ თქვენ ცხოვრების ავ-კარგი ჯერ ვერ შეგიგნიათ: თქვენ იცით რაღაც დღესასწაულები, რომლებზედაც მოიპატიჟებთ ხოლმე აუარებელ ხალხს და დიდ ხარჯს ეწევით. გარდა ამისა, მოგიკვდებათ თუ არა ვინმე, კიდევ მოიწვევთ ურიცხვ ხალხს, რომელშიაც ხშირად ისეთი პირები გამოერევიან, რომლებიც თქვენ არც კი გინახავთ და რომელთაც სრულებითაც არ შესჭირთ თქვენი მწუხარება და ხარჯი, ამით თქვენ იღუპებით და ღარიბდებით; აკრძალეთ ამისთანა ხარჯები შემდეგისათვის და სამაგიეროთ გააშენეთ სკოლები დაადგინეთ განაჩენი, რომ არავინ ამისთანა ხარჯები აღარ გასწიოს, ხოლო ვინც ეს ისევ გაბედოს, ის დააჯარიმეთო“. ბ. მაზ. უფროსი ნეტკაჩევი სწორედ მამობრივის დარიგებით ებაასებოდა ხალხს; შემდეგ ურჩია მათ იქონიეთ გზების შესახებ მზრუნველობა, რომ ყოველთვის კარგი გზები გექნეთო. აგრეთვე ყოველ წამსვლელ-მომსვლელ მოხელეთ რიგიანი ცხენები უშოვეთ, ყველა ერთ გვარად ემსახურეთ კანონს და არ იყვეს თქვენში გარჩევაო.

ბოლოს ბ. მაზრის უფროსმა

კერძო თხოვნები მიიღო, ყველას გზა მისცა და მხოლოდ სადამოს რვა საათზე გამომეშვიდობა ყრილობას. მეორე დღეს ოცდა-ოთხს ივლისს მან რევიზია გაუკეთა ადგილობრივ ბოქაულს, ბ. ქუთაისის კანცელარიაში და საქმეთა წარმოების მადრიელი დარჩა. სადამოს ინახულა ადგილობრივი წმინდის გიორგის ჩხარის ეკკლესია თავის შესამჩნევი ძვირფასი ქონებით, აგრეთვე ინახულა ძველი ეკკლესიის ნანგრევებში უკანასკნელ მეფის ბატონიშვილის დავითის საფლავი და სურვილი განაცხადა, კარგი იქნება მეფეს შესაფერი ძეგლი დაედგასო. ამის შემდეგ სარევიზიოთ მიბრძანდა სოფლის კანცელარიაში, სადაც ნახევარი საათი მეტი დაჰყო და აქაც საქმეთა წარმოების მადრიელი დარჩა. ხსამე დღეს, ბ. უფროსი ადრიანად მიდინარე ძირულის სანახავად წაბრძანდა, რომელზედაც დღეს დიდად საჭირო ხიდის გაკეთება; ამ ხიდის შესახებ თხოვნა აქეთ მომქმედული ბ. ქუთაისის გუბერნატორთან ჩხარის დეპუტატებმა: მეაფთეკარს მეთოლ ვასილის ძე ქათამაძეს და სხვა პირთ. ბ. მაზრის უფროსმა შეადგინა თავისი პროექტი და აღუთქვა ხიდის გაკეთება. მეორე დღეს, 26 ივლისს გამოგზავრა ხრეიის საზოგადოებაში. დიდი მადლობის ღირსია ბატონი იოსებ დიმიტრის ძე ნეტკაჩოვი თავისი მამობრიული დარიგებისა და თავისი სამაზრო გამხნევებისათვის.

მესამე

# თეატრის მატიანე

—

**თელავი.** ვ. ალექსი-მესხიშვილის წარმოდგენა. აქ ხმა გავრცელდა, რომ ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი მოვიდა და სამი წარმოდგენა უნდა გამართოსო; ამ ამბავს სიხარულით მიეგებნენ. 2 აგვისტოს ჩამოვიდა კიდეც მესხიშვილი. მეორე დღეს გააკრეს აფიშები და 6 აგვისტოს წარმოდგენა იყო დანიშნული თეატრის დარბაზში. წარმოადგინეს ახალი პიესა „ცხოვრების გმირი“ დრამა სამ მოქ. კარეევისა და „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი. პირველში მონაწილეობას იღებდნენ: ალექსი-მესხიშვილი, გამყრელიძე, აჯიმამუდოვი, აწყურელი, ზურაბიშვილი. ქქ. გვეტაძე, დიდებულიძისა და გამყრელიძისა.

9 საათზე დარბაზი ხალხით გაივსო. იაფ-ფასიანი ადგილებისულ გაყიდული იყო და რადგანაც მსურველნი ბევრნი იყვნენ და გულით უნდოდათ ამ წარმოდგენის ნახვა, მაგრამ მომეტებულთ ფული არა ჰქონდათ, გარდა 30—50 კაპიკისა, ამიტომ კეთილ ინებეს და უკან არ გააბრუნეს დაღონებულნი, შეუშვეს და მეტ ფასიან ადგილზე დასვეს, რითაც მადლობა დაიმსახურეს. ცხრის ნახევარზე აიხადა ფარდა და გამოჩნდა მდიდრულად მორთული ოთახი დიმიტრი ბორისის ძე არეევის ოჯახში და რომლის როლსაც ასრულებდა ბ. გამყრელიძე და ისე საუცხოვოდ შეასრულა, ამაყად, ბრძანებელი კილოთი, როგორც დიდი მემამულე, რომ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. პატარა ხანს უკან გავარდა თოფი და სცენაზე გამოჩნდა მონადირეს ტანისამოსში და ნანადირევით ალექსი-მესხიშვილი. საზოგადოება ტაშის კვრით მიეგება და 5 წამის განმავლობაში არ შეწყვეტილა. პეტრეს, არეევის შვილის როლს ასრულებდა ბ. მესხიშვილი და ისეთი ხელოვნებით შეასრულა თავისი როლი, რომ ჩვენ უკეთესი არ გვინახავს, ვერც წარმოგვიდგენია და არცა გვინდა უკეთესის ნახვა. ნიკოს, არეევის გერის როლს ასრულებდა ბ. აჯიმამუდოვი, აპოლონ ნიკოლაევიჩ ოპატოვი, არეევის მოურავის როლს—ბ. აწყურელი, თავ. ორლინსკის როლს—ზურაბიშვილი, სამივემ თავ-თავიანთი როლები მშვენივრად შეასრულეს, როლებიც კარგათა ჰქონდათ შესწავლილი; ესე კარგათ და ხელოვნურად მოთამაშე სხვა დროს ჩვენ ესენი არ გვინახავს. არ ვიცი თითონ ცდილობენ ეგრე, თუ ვ. ალექსი-მესხიშვილის თანადასწრებით იმათაც ფრთები შეისხეს. ქალებმაც კარგათ შეასრულეს, მაგრამ მამა კაცებივით კი ვერა. განსაკუთრებით კარგი იყო ალექსი-მესხიშვილი, როცა კვდებოდა და ბ. გამყრელიძე, როცა შვილებს შეხვდა. ამ მოქმედებაში ზოგს ცრემლებიც კი წასკდა, თუმცა ზოგნი სამწუხაროდ იცინოდნენ, მაგრამ ისინი დასაძრახისნი არ არიან, რადგან უვიცობით მოუვიდათ.

დაღონებული და თვალ ცრემლიანი საზოგადოება ძალიან გაამხიარულა ვოდევილმა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი საყვარელი კომიკი ბ. აწყურელი და ქქ. გვეტაძე, დიდებულიძისა და გამყრელიძისა. აბა რაღა თქმა უნდა, ბ. აწყურელი მშვენიერი იყო და სიცილით დახოცა ყველანი. მუდამ ფარდის დაშვების დროს საზოგადოება ასტეხავდა ტაშის კვრას და ვაშას ძახილით იწვევდნენ ალექსი-მესხიშვილს სცენაზე რამდენჯერმე. პიესები მშვენივრად იყო მომზადებული ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობით; ეტყობოდა, რომ ყოველი ღონე ეხმარა და ამ შრომამაც მუქთათ არ ჩაუარა. ანტრაქტებში მშვენივრად უკრავდა ზურნა. წარმოდგენა პირველის ნახევარზე გათავდა და საზოგადოება დიდად კმაყოფილი დაიშალა.

თელაველი

# ყურმოკრული საუბარი

—

სოფლის მწერლის კვეხნა. ერთმა სოფლის მწერალმა კვეხნით უთხრა ცოლს.

— საკვირველია ქალო, კატო, სხვა მწერლები ქაღალდს რომ დასწერენ, ჯერ შავად დასწერენ და მერე გადაათეთრებენო, მე კი შავი არ მინდება და პირდაპირ თეთრსა ვწერამო!

— მიტომ თუ არის ჩემო საყვარელო ნიკაო, მიუგო ცოლმა, რომ შენ თეთრ ქაღალდებს ყოველთვის გაშავებულათ გიბრუნებენო!

—

მოსწრებული პასუხი. „მეტეხელ გლეხს“ ალექსი მირზაშვილს (ჩვენი გაზეთის მოამბეა), რომელიც ცოტა ვერ არის კალაპოტში რიგზე გამოსული, ერთმა მეზობელმა გლეხმა ჰკითხა ცბიერად.

— კაცო, აგერ დაბერდი და რატომ ცოლს არ ირთავ!

— რა ვქნა შენი ჭირიმე, ვინც ხეირიანია, მე არ მეძლევა, და ვხედავ შენ რომ გყავს იმისთანა ღმერთმა დამიფაროს, რაღად მინდაო! დაცინვით მიუგო მირზაშვილმა.

# სხვა-და-სხვა ამბები

—

მილიონერი არტისტი ქალები. ამერიკის ქვეყანა ყველაფრით დიადია და უცნაური. სიმდიდრით ამერიკელებს ვერც ერთი ხალხი ვერ შეედრება... არა თუ ვაჭარნი და სხვა და სხვა მრეწველნი მდიდრდებიან იქა, არამედ სცენაზე მოღვაწენიც სულ ცოტა ხანში მილიონერები ხდებიან. ამ ჟამად ამერიკაში რამდენიმე მილიონერია არტისტთა შორის. ყველაზე მეტი სიმდიდრე, ექვსი მილიონი მანეთი შეუძენია თავის ხელობით და ნიჭით არტისტ ქალს მისს კრაბტრის. ხუთი მილიონის პატრონია მეორე არტისტი ქალი მიტჩელისა და მესამეს დავენპორტს ეკუთვნის აუარებელი მამულები. სამივეს მხოლოდ თავისი ნიჭით და სცენიური ხელოვნებით შეუძენიათ ამოდენა სიმდიდრე და ამიტომაც დიდის ქებით და პატივით იხსენიებენ ამათ სახელს ამერიკელები, თორემ სცენაზე მოღვაწეთ შორის კიდევ ბევრი არიან ძალიან გამდიდრებული ქალები, მხოლოდ ნიჭი და ხელოვნება აქ არ ურევია.


# КЪ ВОПРОСУ

## О ПОДНЯТІИ ОБРАЗОВАНІЯ СРЕДИ ГРУЗИНСКАГО ДВОРЯНСТВА

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს და ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულ მაღაზიას. (6—6)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—37)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურ.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარხ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია